საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

საძოვრის ვეტერინარიულ-სანიტარიული შეფასება

(რეკომენდაცია)

თბილისი
2021

UDC უდკ 636.082.26+636.693.251
ყ - 927

რეკომენდაციის ავტორები:

თენგიზ ყურაშვილი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეუნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
კონსტანტინე ყურაშვილი – ვეტერინარიის დოქტორანტი,

რეცენზენტი:

მაია კერესელიძე - სოფლის მეუნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
გამომცემლობა “აგრო”

ISBN 978-9941-8-3261-1

საძოვრის ვეტერინარიულ-სანიტარიული შეფასება

ცხოველთა ზრდა-განვითარება, კარგი ნაყოფიერება და პროდუქტიულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა ორგანიზმი უზრუნველყოფილი საჭირო ნივთიერებებით. ამ მხრივ ყველაზე მდიდარი საკვებია მწვანე მცენარე (ბალახი), რომელიც იზრდება საძოვარზე.

საძოვარი მცენარეულით დაფარული მიწის სავარგულია, სადაც ძოვს ცხოველი. განასხვავებენ ბუნებრივ და ხელოვნურ საძოვრებს. ბუნებრივი საძოვრის მცენარეული საფარი უმთავრესად შედგება მრავალწლოვანი ველურა მცენარეების, ბუჩქ-ბალახ და ბუჩქებისგან. ხელოვნური ანუ ნათესი საძოვრები მოფენილია მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი პარკოსან-მარცვლოვანი ბალახთნარევით. მათ კულტურულ საძოვარს უწოდებენ. კულტურული საძოვარი უხვმოსავლიანი ხელოვნური სავარგულია.

კულტურული საძოვრები ეწყობა ბუნებრივი საკვები სავარგულების ან ძველი, ნაკლებპროდუქტიული ნასვენი მინდვრების გაუმჯობესების გზით. დაუშვებელია ნაკვეთზე მარტივი ან რთული მრავალკომპონენტიანი ბალახთნარევის დათესვა. განასხვავებენ მოკლევადიანი (5–6 წელი) და გრძელვადიანი (7–10 და მეტი წელი) სავარგულების კულტურულ საძოვრებს.

საძოვრული შენახვისას სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პროდუქტიულობა 25–40%-ით მეტი, პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნად მაღალი, ხოლო თვითღირებულება 20–30%-ით ნაკლებია, ვიდრე ბაგური შენახვის დროს. საძოვარზე ცხოველებს მაშინ უშვებენ, როდესაც მცენარე ვეგეტაციის ადრეულ ფაზაშია და საყუათო ნივთიერებებს უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს.

საძოვრული შენახვის დროს ისპობა ხანგრძლივი ბაგური შენახვის უარყოფითი მხარეები. მზის სხივების პირდაპირი მოქმედებით განუწყვეტელი მოძრაობა და ყველა ორგანოს და სისტემის ვარჯიში იწვევს ღრმა სუნთქვას, აძლიერებს ფილტვების ვენტილაციას და, მასთან ერთად, ჟანგბადის მოთხოვნილებას და ნახშირორჟანგის გამოყოფას. ასეთი მოძრაობა (ბუნებრივი მოციონი) აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, ავითარებს ძვლებს, სახსრებს და იოგებს. კლიმატური ფაქტორების ზემოქმედებით კარგად ვითარდება კანი, ჯირკვლოვანი, სისხლძარღვოვანი აპარატი. ძლიერდება მისი რეზისტენტობა, თბო-რეგულატორული თვისებები და ყველაფერი ეს ხელს უწყობს სხეულის საერთო განვითარებას და ცხოველის ჯანმრთელობას. რაც უფრო ხანგრძლივია შენახვის ასეთი რეჟიმი, მით უფრო ძლიერდება და კაჟდება ცხოველი და იზრდება ორგანიზმის დამცველობითი ძალა.

საძოვარზე ცხოველი მუდამ სარგებლობს მწვანე საკვებით, რომელიც მდიდარია საზრდო ნივთიერებებით, ვიტამინებით და მინერალური ნაერთებით. ეს საკვები კარგი ჭამადობით და შეთვისებით ხასიათდება, რაც ხელს უწყობს ცხოველის განვითარებას, გამოჯანმრთელებას და იცავს მას რაქიტის, ანემიისა და ოსტეომალაციისაგან, გარდა ამისა, იგი აძლიერებს და ასტიმულირებს სქესობრივ მოქმედებასაც. ამასთან ერთად, ცხოველების საძოვრული კვება დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა, ვინაიდან იძლევა ყველაზე იაფ საკვებ ერთეულს.

საძოვრული შენახვა ეფექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოველი ღებულობს მწვანე ბალახს თავისი მოთხოვნილებების მიხედვით. მცენარეული საფარით ღარიბ ბუნებრივ საძოვრებზე ცხოველი ჩვეულებრივ მშიერი რჩება და დამატებითი გამოკვების გარეშე ვერ ამჟღავნებს საძოვრული შენახვის პერიოდისათვის დამახასიათებელ პროდუქტიულობას.

ძოვების გავლენა საძოვრის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. მრავალფეროვანი ბალახებით დაფარულ საძოვრებს დიდი სარგებლობა მოაქვს მოსახლეობისთვის. მნიშვნელოვნად მატულობს ცხოველთა პროდუქტიულობა. საძოვრების არასწორი ექსპლუატაციის დროს კი ზიანდება მისი საფარი. დაზიანების ხარისხი ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ მისი აღდგენა წლების მანძილზე ვერ ხერხდება.

საძოვარი მნიშვნელოვნად ზიანდება ცხოველების თავისუფალი ძოვების დროს. საძოვრის დიდ ფართობზე ცხოველების უკონტროლოდ გაშვებისას მაქსიმალურად გაიძოვება ბალახის გარკვეული სახეობა, რის გამოც თანდათან მცირდება და ქრება ყუათიანი, მაღალი კვებითი ღირებულების ბალახები, მის ადგილს კი იკავებს ნაკლები ღირებულების მქონე და შხამიანი ბალახები.

ცხოველებს ბალახეული საფარი შეუძლიათ დააზიანონ ჩლიებითაც, თუ ცხოველებს საძოვარზე გაუშვებთ წვიმის შემდეგ, ნიადაგის გაშრობამდე.

ცხოველები დღე-ღამეში გამოყოფენ დიდი რაოდენობით ფეკალურ მასას და შარდს (იხ. ცხრილი 1 და 2), რომელიც აბინძურებს გარემოს. თუ ფეკალი და შარდი გამოიყოფა ინფექციური და ინვაზიური დაავადებებით დაავადებული ცხოველებიდან, ხდება საძოვრის დაინფიცირება, ვინაიდან ფეკალით და შარდით გამოიყოფა დიდი რაოდენობით მიკროორგანიზმები და პარაზიტების კვერცხები. მიკროორგანიზმების გამოყოფა ფეკალთან და შარდთან ერთად დიდხანს გრძელდება, გამოჯანმრთელების შემდეგაც. მაგალითად, ბრუცელოზის დროს წლების მანძილზე; ტუბერკულოზისას სიცოცხლის მანძილზე; პასტერელოზის, სალმონელოზის, ლისტერიოზის და სხვა დაავადებების დროს თვეების მანძილზე.

ცხოველიდან დღე-ღამეში გამოყოფილი ნაკელის რაოდენობა

ცხრილი 1.

ცხოველის სახეობა	ნაკელის რაოდენობა (კგ)
1. ბუღა მწარმოებელი	30–35
2. ძროხა	35–40
3. უშობელი	20–25
4. მოზარდი	10–15
5. ხბო	5–10
6. ცხვარი ზრდასრული	4
7. თხა	2,5
8. ცხენი ზრდასრული	20
9. კვიცი	10
10. მოზარდი	15

ცხოველიდან დღე-ღამეში გამოყოფილი შარდის რაოდენობა

ცხრილი 2.

ცხოველის სახეობა	შარდის რაოდენობა (ლ)
მსხვილფეხა რქოსანი	6–12 (25)
ცხენი	3–6 (10)
ცხვარი და თხა	0,5–1 (2)

შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემულია შარდის მაქსიმალური რაოდენობა

საძოვრებზე მიკროორგანიზმების სიცოცხლე დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე, მზის სხივების ზემოქმედებაზე. დაინფიცირებული საძოვრებიდან წვიმის შედეგად მიკროორგანიზმები და პარაზიტის კვერცხები ხვდება წყალსისტემებში და საშიშს ხდის მას მოსახლეობისთვის.

ცხოველების სიმრავლე ხელს უწყობს აგრეთვე სხვადასხვა სახეობის სისხლის მწოვი მწერების (ტკიპები, რწყილები, ბუზები) გამრავლებას, რომლებიც აწუხებენ ადამიანსაც და გადააქვთ საშიში დაავადებები.

ცხოველთა ფეკალის და შარდის ზემოქმედებით ხმება მცნარეული საფარის გარკვეული ნაწილი.

ცხოველების მომზადება ძოვებისათვის. საძოვრების მომზადებასთან ერთად საჭიროა ერთდროულად ცხოველების მომზადებაც. მთელი სულადობა ექვემდებარება ვეტერინარიულ გამოკვლევას. ავადმყოფი, ავადმყოფობაზე საეჭვო, სუსტი და გამოჯანმრთელების პროცესში მყოფი ცხოველების გამოსავლენად ატარებენ დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს, ავადმყოფებს მკურნალობენ, კლინიკურად ჯანმრთელებს კი უტარებენ პროფილაქტიკურ აცრებს. ცხოველებს აგრეთვე უტარებენ დეჰელმინტაციას. ძროხები უნდა გასუფთავდეს ზღმურდლისაგან. ცხვრებს პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით ატარებენ აბაზანებში ან ამუშავებენ სითხეების შესაფრქვევი აპარატებით.

ჩლიქებს დეფექტური მდგომარეობის დროს სპეციალურად ამუშავებენ, მოუსვენარი საქონლის რქების წვეტებს კი ხერხავენ.

ჯოგის ვეტერინარიულ დამუშავებასთან ერთად ტარდება მთელი რიგი ზოოტექნიკური ღონისძიებები, რაც გამოიხატება ცხოველების ინვენტარიზაციაში, ნიშნების და ნომრების შემოწმებაში. ზოოტექნიკური და სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით შესაფერი ჯოგების და ფურების ჯგუფების ჩამოყალიბებაში.

ბაგური შენახვიდან საძოვრულზე გადასვლა ხდება თანდათან, რათა ცხოველები შეეჩვიონ ახალ საკვებს და კლიმატურ რეჟიმს. კლიმატური პირობების მკვეთრი ცვლილება შესაბამისად მოქმედებს ცხოველებზე. გაუფრთხილებლად მთლიანად გადასვლა მწვანე ბალახით კვებაზე იწვევს კუჭ-ნაწლავის აშლილობას, ხანგრძლივ ფაღარათს, ცხოველის სისუსტეს, მოზარდის ზრდაში ჩამორჩენას და პროდუქტიულობის დაკლებას. საძოვარზე ცხოველთა უეცარმა გასვლამ შეიძლება, პირველ რიგში, გამოიწვიოს რეზისტენტობის დაქვეითება და პროდუქტიულობის დაცემა. ამის გამო საძოვრულ რეჟიმზე გადასვლა უნდა ხდებოდეს 6—8 დღის განმავლობაში. ამ პერიოდში საძოვარზე ცხოველების ყოფნის საათები თანდათან იზრდება, მანამ, სანამ ბოლო პერიოდისათვის არ მოხდება მთლიანად მათი გადაყვანა საძოვრულ რეჟიმზე. საკვებ ულუფას იმდაგვარად ცვლიან, რომ თავიდან ავიცილოთ პროდუქტიულობის შემცირება და ხარბი ძოვის შედეგად წარმოქმნილი გაბერვა. პირველ დღეებში აუცილებელია აგრეთვე ცხოველების კონცენტრირებული და უხეში საკვებით დამატებითი კვება. მიზანშეწონილი არ არის ნამიან ბალახზე საქონლის ძოვება, რადგან ნამი ცხოველის გაბერვას შეუწყობს ხელს.

ცხოველების გაცივების თავიდან აცილების მიზნით გარდამავალ პერიოდში მიზანშეწონილია მოციონისა და ღია ცის ქვეშ ყოფნის დროის გახანგრძლივება, სითბორეგულაციის აპარატის გააქტივებისა და სიცივისადმი შეჩვევის მიზნით. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ მოზარდებს, სუსტ, ცუდად გამოკვებილ (ჯანდაგ) და მაკე ცხოველებს.

ასეთივე გამაფრთხილებელი ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული შემოდგომაზეც, საძოვრიდან ბაგურ შენახვაზე გადასვლის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკვები ულუფა მოკლებულია წვნიან საკვებს. გაუფრთხილებელმა გადასვლამ შეიძლება გამოიწვიოს ყაბზობა, მონელების აშლილობა. ყინვებისა და რთვილის დროს ძოვებამ შეიძლება გამოიწვიოს გაცივება, გაბერვა, მონელების აშლილობა და აბორტები. ცხოველების საძოვრული შენახვა იწყება ადრე გაზაფხულზე და გრძელდება გვიან შემოდგომამდე. გაზაფხულზე ცხოველების გაშვება საძოვარზე შეიძლება მაშინ, როდესაც ნიადაგი მშრალია და ბალახის ნაზარდი 8—19 სმ-ია. საძოვრული პერიოდი შემოდგომაზე უნდა

დამთავრდეს 15 დღით ადრე ყინვების დაწყების და მცენარის ვეგეტაციის დამთავრებამდე.

საძოვრის ექსპლუატაცია. საძოვრის მთელი ტერიტორია იყოფა უბნებად, რომელზედაც უნდა მიემაგროს გარკვეული ნახირი (ფარა). სასურველია ბანაკთან ახლო მდებარე ნაკვეთები გამოყოფილი იქნას 5–6 თვის ასაკის მოზარდებისავის, მაწოვარა და მაკეობის მეორე ნახევარში მყოფი დედებისათვის, მაღალპროდუქტიული ფურებისათვის. უბანი თავის რიგად, იყოფა ნაკვეთებად. გაძოვნა მათზე განსაზღვრული მორიგეობით და თანმიმდევრობით ხდება და უკვე გაძოვნილ ნაკვეთში დაბრუნება ბალახის აღმოცენებამდე არ შეიძლება. თითოეული ნაკვეთის გაძოვნა შეიძლება მოხდეს 3–5-ჯერ (დამოკიდებულია რაიონზე და ბალახის აღმოცენების ინტენსივობაზე).

ნაკვეთმორიგეობითი ძოვება თავისუფლად უწესრიგო გაძოვებასთან შედარებით უფრო ეფექტურია, ვინაიდან ზრდის საძოვრის პროდუქტიულობას 25–30%-ით. საერთოდ, ტერიტორიის დაყოფა ნაკვეთებად დამოკიდებულია ამა თუ იმ რაიონის კლიმატურ პირობებზე.

ნაკვეთმორიგეობით ძოვებას თავისი უპირატესობა აქვს ვეტერინარიულ-სანიტარიული თვალსაზრისითაც. ავადმყოფი ცხოველების გამონაყოფები (თუ ასეთები ნახირში აღმოჩნდნენ), გროვდება საძოვრის განსაზღვრულ ნაკვეთზე და, მაშასადამე, ინფექცია და ინვაზია აღარ გავრცელდება მთელი საძოვრის ფართობზე. აუცილებლობის დროს დაინფიცირებული ნაკვეთი ამოღებული იქნას საძოვრიდან და იზოლაცია გაუკეთდეს მას ისე, რომ არ დაირღვეს საძოვრის ბრუნვის მსვლელობა. მზის სხივები, ქარი, გაშრობა და სხვა იმოქმედებენ სენმოდებულ ნაკვეთზე მყოფ მავნე აგენტებზე, რაც, ზოგ შემთხვევაში, სრულიად საკმარისია მათი მთლიანი მოსპობისათვის.

ნაკვეთმორიგეობითი სისტემა ძვირფასი საშუალებაა ჰელმინთებთან ბრძოლის საქმეში. ავადმყოფი ცხოველების ფეკალში გამოყოფილი ჰელმინთის მურები 5–6 დღის შემდეგ იძენენ ინვაზიურობას და შეუძლიათ მთელი წლის განმავლობაში ცხოველების დაინვაზება, თუ ისინი ჩაყლაპავენ მათ. ამრიგად, დაავადების ასარიდებლად ცხოველები უნდა მოვაცილოთ დასნებოვნებულ ტერიტორიას არა უგვიანეს 5–6 დღისა და უკან დავაბრუნოთ არა უადრეს 1 წლისა.

ნაკვეთმორიგეობითი ძოვება აგრეთვე ტკიპებისაგან გაწმენდისა და ძროხის პიროპლაზმოზით დაავადების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. თუ სოფელს ტკიპებისაგან თავისუფალი ტერიტორია არა აქვს, მაშინ სასურველია მთელი ტერიტორიის ორ ნაკვეთად დაყოფა. პირველ წელს საქონელი ძოვს ერთ ნაკვეთზე, მეორე ნაკვეთი იზოლირებულია. 7 თვის განმავლობაში ტკიპები იღუპებიან შიმშილისაგან. მეორე წელს, საძოვრული პერიოდის პირველ ნახევარში საქონელი იმყოფება მხოლოდ მეორე (ტკიპებისაგან გაწმენდილ) ნაკვეთზე, მეორე ნახევარში კი – პირველ ნაკვეთზე. მესამე წელს საქონელი ძოვს მთელ ტერიტორიაზე.

ფურებისათვის ძოვების რეჟიმი ყალიბდება პირობებისდა მიხედვით დღე-ღამის საათების სწორად განაწილებით. ძროხა ბალახს ჭამს დაახლოებით 10 საათის განმავლობაში, ამიტომ მათთვის ძოვების უკეთეს დროდ უნდა ჩაითვალოს დილისა და საღამოს საათები. შუადღის საათები, განსაკუთრებით სიცხესა და პაპანაქებაში, როდესაც ყველაზე მეტად დაფრინავენ ბუზანკალები, სისხლის მწოვარა ბუზები და მწერები, გამოყენებული უნდა იყოს დასასვენებლად. თუ ძლიერმა სიცხეებმა შეამცირეს ძოვების დრო, მაშინ უნდა შემოვიღოთ ღამის ძოვება.

ძროხების და ცხვრების ძოვებისას მწყემსი წინ უნდა მიუძღვოდეს გაშლილად მიმავალ ჯოგს, აწესრიგებდეს მის წინსვლას და თანდათან გადაჰყავდეს გაუძოვებელ ნაკვეთზე. თავისუფალი ძოვება ეფექტურია. მსხვილფეხა რქოსანი

პირუტყვისათვის გამოყენებული უნდა იქნას ოდნავ ნესტიანი საძოვარი, დაფარული ხშირი ნორჩი ბალახეულით. ოდნავ სინესტე მათ ჩლიქებზე ისე არ მოქმედებს, როგორც ცხუნება.

საპასუხისმგებლოა ძოვება ზამთრის პერიოდშიც, როდესაც იყენებენ არა მარტო დაუფარავ, არამედ თოვლით დაფარულ საძოვრის მასივებსაც. უკანასკნელ შემთხვევაში ცხოველები იძულებული არიან მოიპოვონ (მოქექონ) თოვლის ქვეშ მოქცეული გასული წლის ბალახი. საკვების მოპოვების ასეთი უნარი აქვთ ცხენებს, ცხვრებს, უპირატესად აბორიგენულ ჯიშებს და მათი დაბალი გენერაციის მეტისებს. კულტურული ჯიშები და მათი ნაჯვარები ცუდად იტანენ ზამთრის საძოვრული შენახვის მკაცრ პირობებს, მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რაიონში დაშვებულია ასეთი საძოვრების გამოყენება ნაზმატყლიანი ცხვრებისათვის. ძროხის საძოვრად სამხრეთ რაიონებში იყენებენ თოვლით დაუფარავ საძოვრებს. ზამთრის საძოვრებზე მომთაბარეობისათვის შერჩეულ უნდა იქნეს ისეთი ცხოველები, რომლებსაც შეუძლიათ აიტანონ იქ არსებული კლიმატური პირობები. ამ მიზნით უვარგისია ხნიერი, ავადმყოფი, ცუდად გამოკვებილი, ჯანდაგი, სუსტი კონსტიტუციის, დაავადებული ჩლიქების და ინფექციურ დაავადებაზე არაკეთილსაიმედო მეურნეობებიდან გადმოყვანილი ცხოველები. შერჩეული ცხოველები ექვემდებარებიან ვეტერინარიულ-სანიტარიულ და პროფილაქტიკურ დამუშავებას. ცხოველთა სახისა და ასაკის მიხედვით ფორმირდება ნახირი, ჯოგი და ფარა.

ერთ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე უნდა მოდიოდეს მინიმალური – 0,5 და მაქსიმალური – 2,5 ჰექტარი საძოვარი.

საზაფხულო-საბანაკო (საძოვრული) შენახვა. საქართველოში ხშირად იყენებენ საზაფხულო-საბანაკო (საძოვრულ) შენახვას. საზაფხულო-საბანაკო შენახვის ერთ-ერთი მთავარი პირობა ბანაკის მოწყობაა. ბანაკებისთვის გამოყოფილი ადგილი მაღლობი უნდა იყოს, რომ ხელი შეუწყოს წვიმის წყლების ჩადინებას სწორი ან ოდნავ დაქანებული სამხრეთისაკენ; მყარი, მაგრამ წყალგამტარი ნიადაგით, ტრანსპორტისათვის ადვილად მისადგომი; აუცილებელია ბანაკი გაშენდეს ხარისხიანი და საკმარისი რაოდენობით სასმელი წყლის სიახლოვეს. ბანაკში აგებული უნდა იქნეს სხვა ნაგებობანი, რომელიც მომსახურებას გაუწევს მომვლელ პერსონალს და საჭირო სამეურნეო პროცესებს. მათ მიეკუთვნება ღია და დახურული ნაგებობა ცხოველების შესარეკად, ფარდული წველისა და კვებისათვის, სახბორე, სარძევე, საწყობი კონცენტრული საკვებისა და ინვენტარისათვის, მომსახურე პერსონალის საცხოვრისი, შენობები, ნაკელსაცავი. ბანაკში აგებული შენობა სასურველია იყოს მარტივი, ადვილად იშლებოდეს და, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლებოდეს მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა.

ძროხისათვის საზაფხულო ბანაკებში აშენებენ სამი მხრიდან დახურულ ღია ფარდულს, რომლის მიზანია დაიცვას ცხოველები უამინდობისაგან, მზისაგან და მწერებისაგან.

ფარდულში კეთდება სადგომები (ბაგა) და უბრალო საკვებურები. იატაკი სასურველია იყოს ხის, მაგრამ დასაშვებია აგრეთვე იყოს მიწატკეპნილი და ბეტონი. მშენებლობისთვის სასურველია ხის ან ადგილობრივი იაფი საშენი მასალის გამოყენება.

საძოვრები მომთაბარეობის პირობებში დიდ მანძილზეა დაშორებული დასახლებული პუნქტებისაგან, რის გამოც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადასარეკ გზებს და გადარეკვის ტექნიკის ორგანიზაციას. საქონლის გადარეკვა წარმოებს დადგენილ ტრასაზე, რომელიც კეთილსაიმედო უნდა იყოს ეპიზოოტიის მხრივ. მოძრაობა ტრასაზე გარკვეული გრაფიკით ხდება, ვეტერინარი ექიმების თანხლებით.

გადასარეკ ტრასას წინასწარ ამოწმებენ და წესრიგში მოჰყავთ: აწყობენ დასასვენებელ (გასაჩერებელ) ადგილებს ცხოველებისათვის და შენობებს მომვლელი და გამცილებელი პერსონალისათვის; ასეთი ადგილები ეწყობა რამდენიმე დღიანი გადარეკვის სიშორეზე; ეწყობა აგრეთვე ცხოველების გამოსაკვები და დასარწყულებელი ადგილები; ვეტერინარიულ-სანიტარიული პუნქტები და საკარანტინო მოედნები.

გადასარეკი ტრასა უნდა გადიოდეს ისეთ ადგილებში, სადაც ცხოველებს (განსაკუთრებით ცხვრებს) გადარეკვის პროცესში ექნებათ საკვების მიღების (ძოვების) საშუალება. გადარეკვა ადგილმდებარეობის, რელიეფის და კლიმატური პირობების მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს 8—12 კმ-ს დღეში, რა დროსაც ცხოველებს ეძლევათ შესვენება: 2—3 საათის გავლის შემდეგ 1—1,5 საათი, ერთი დღე-ღამის შემდეგ 10—12 საათი და 15 დღის გადარეკვის შემდეგ 2—3 დღე.

გადარეკვისას ცხვარი უნდა დავარწყულოთ დღეში ერთხელ, მსხვილი რქოსანი პირუტყვი და ცხენი — 2—3-ჯერ. გზაში დასუსტებული ცხოველები დამატებით უნდა გამოვკვებოთ კონცენტრატებით ან სხვა საკვებით.

ცხოველთა თავშესაფრის პარალელურად საჭიროა გაკეთდეს იზოლატორი, საკარანტინო პუნქტი, გასაბანებელი აბაზანა.

სავარგულები ნაწილდება ცხოველის სახის შესაბამისად: ცხვრებისათვის გამოიყენება ავშნიანი და მლაშობი საძოვრები, ცხენებისათვის და ძროხისათვის — მარცვლოვნებით მდიდარი საძოვრები.

საძოვრული შენახვის უარყოფითი მხარეები. საძოვრული შენახვის უარყოფით მხარეებს შეიძლება მივაკუთვნოთ საძოვარზე მავნე, შხამიანი და სოკოებით დაავადებული მცენარეების არსებობა. დაბალ, ნესტიან და დაჭაობებულ ადგილებში ძოვის დროს ჰელმინთოზებით დაავადების საშიშროება.

ტკიპებით, ბუზებით, კოღოებით, ბუზანკალებით ცხოველების შეწუხება ხშირად მიზეზი ხდება ცხოველების დაავადებისა, საძოვარზე ტრავმული დაზიანების შესაძლებლობა და ა. შ. ყველა ეს უარყოფითი მხარე ადვილად ასაცილებელია და ამიტომ მათი მნიშვნელობა არც ისე დიდია, რომ უარი ვთქვათ საძოვარზე ცხოველთა შენახვის შესაძლებლობაზე.

საძოვრის ტერიტორიის ვეტერინარიულ-სანიტარიული მომზადება. საძოვრის ტერიტორიის ვეტერინარიულ-სანიტარიული მომზადებისას ყველა ნაკვეთი, სადაც ადგილი ჰქონდა ცხოველთა დაავადებას ჯილეხით, უნდა შემოიფარგლოს და გამოითიშოს მისი საძოვრად გამოყენება. მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს საძოვრის ის ნაკვეთიც, სადაც აღნიშნული იყო ემფიზემატოზური კარბუნკულით და სხვა მწვავე ინფექციით ცხოველთა დაავადების შემთხვევები. ამ საძოვრებზე ცხოველთა შეშვება შეიძლება მხოლოდ შესატყვისი აცრების ჩატარების შემდეგ. დაბლობი და დაჭაობებული მიწები, რომლებიც დაინვაზიებულია ჰელმინთებით, უნდა შემოისაზღვროს და საძოვრად გამოყენებული არ უნდა იქნეს მინიმუმ ერთი თვე. პარაზიტული დაავადებების და მათი გადამტანი ტკიპების გავრცელების ადგილები უნდა გამოითიშოს საძოვრის ტერიტორიიდან. საძოვარზე წესრიგში უნდა იქნას მოყვანილი ცხოველთა ძველი და ახალი სამარხები. ისინი იზოლირებულნი უნდა იყვნენ სხვა ტერიტორიებიდან.

საძოვრის მოწყობა. ცხოველთა საძოვრული შენახვის სწორი ორგანიზაციისათვის საჭიროა მთელი რიგი აგროტექნიკური, ზოოტექნიკური, ვეტერინარიულ-სანიტარიული ღონისძიებების გატარება.

უპირველეს ყოვლისა, საძოვრის ტერიტორიის სწორი ორგანიზაცია და მისი წესიერი გამოყენება გულისხმობს, რომ საძოვრები მოყვანილი იქნან კულტურულ მდგომარეობაში, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს მივიღოთ უკეთესი კვებითი

ღირებულების და მოსავლიანობით უხვი საკვები. ძირითადი წესები ბუნებრივი საძოვრებისა და მდელოების გაუმჯობესებისა მდგომარეობს: 1) ნიადაგის წყლური რეჟიმის რეგულირება, დაჭაობებული და ტენიანი საძოვრების დაშრობა ან, პირიქით, მორწყვისა და თოვლშეკავების გაუმჯობესებაში; 2) ჯაგნარის, ბუჩქნარისა და წვრილფოთლოვანი ტყის მოწესრიგებაში; 3) ქვებისაგან და ფიჩხისაგან განთავისუფლებაში. უნდა გვახსოვდეს, რომ დაბლობ საძოვრებზე ცხოველები (განსაკუთრებით ცხვრები) ადგილად ავადდებიან ჰელმინთოზებით და ბრაძოტით. გარდა ამისა, საძოვრის ტენიან ტერიტორიაზე კარგად ხარობს შხამიანი ბალახები და ბუჩქნანი მცენარეები, რომელშიც თავს აფარებენ სხვადასხვა სახეობის ტკიპები, ინფექციური და ინვაზიური დაავადებების გადამტანები, შხამიანი ქვეწარმავლები.

საძოვრის სარეველებისაგან გაწმენდას ხელს უწყობს აგრთვე იმ ბალახების გათიბვაც, რომელიც რჩება ცხოველების ძოვების შემდეგ. ასეთი სამუშაოები ცხოველთა მეპატრონეებმა უნდა ჩაატარონ ერთობლივად და საჭიროების მიხედვით.

განსაკუთრებით მნიშვნელობა ენიჭება ძოვების ორგანიზაციას. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ უსისტემო ძოვებისას, მკვეთრად უარესდება საძოვრის ხარისხი. საძოვრის დიდ ფართობზე ხანგრძლივად უკონტროლოდ გაშვებისას თანდათან მცირდება და ქრება ყუათიანი, მაღალი კვებითი ღირებულების ბალახები, მის ადგილს იკავებს უვარგისი და მავნე ბალახები და პირიქით, ცხოველთა ძოვების სწორი ორგანიზაციით, ნაკვეთმორიგეობის შემოღებით და საძოვრის სათანადო მოვლით ქრება მავნე და სარეველა ბალახები და იზრდება სასურველი მცენარეების ნაირსახეობა.

საძოვრის მომზადების პარალელურად მზადდება დასარწყულებელი ადგილები. ახდენენ ძველი ჭების შეკეთებას და, საჭიროების შეთხვევაში, თხრიან ახალს. წესრიგში მოჰყავთ მდინარეების და ტბორების მისადგომები, აღრმავებენ პატარა წყალსატევებს მდინარეებთან, ტბებთან და ტბორებთან დარწყულების ადგილზე; იგი კეთდება და შემოისაზღვრება იმდაგვარად, რომ ცხოველმა ადვილად დალიოს წყალი, ისე, რომ შიგ არ ჩადგეს. საჭიროების დროს ეწყობა წყლის მექანიკური მიწოდება. დგამენ წყლის სასმელ ვარცლებს. დასაწყურვებელი ადგილები გაპიროვნებული უნდა იქნეს ცალკეულ ნახირზე.

საძოვრების ტერიტორიის ორგანიზაციის დროს დამუშავებული უნდა იქნეს აგრეთვე საქონლის გადასარეკი გზების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველების (ფარის, ჯოგის) მოხერხებულ გადაადგილებას ერთი ადგილიდან მეორეზე და, ამავე დროს, დააკმაყოფილებს ვეტერინარიულ-სანიტარიულ მოთხოვნილებებს. გზის სიგანე დამოკიდებულია ჯოგის ან ფარის სიდიდეზე. აუცილებელია, რომ გზებზე ცხოველები სივიწროვეს არ გრძნობდნენ, ამავე დროს უზრუნველყოფილი იყოს ცხოველებზე მეთვალყურეობა, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ჩარევა.

შენიშვნები და წინადადებები